ბავშვებთან საუბარი

სამუშაოს შესრულების შესახებ

LIVING DEMOCRACY

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

www.living-democracy.com

PH ZH
IPE – INTERNATIONAL PROJECTS IN EDUCATION
ZURICH UNIVERSITY OF TEACHER EDUCATION

პროფესიული ორიენტაცია

ახალგაზრდებისთვის პროფესიული არჩევანის მიზანია ისეთი პროფესიის პოვნა, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება მათ ინტერესებსა და უნარებს. ახალგაზრდები, რომლებმაც შესაფერისი სამუშაო იპოვეს, უფრო კმაყოფილები და პროდუქტიულები არიან, უმუშევრობის ნაკლები რისკია, მეტი სტაბილურობაა და ნაკლებად მიდრეკილნი არიან პროფესიების შეცვლისკენ. ეს არის მნიშვნელოვანი წინაპირობა პიროვნული ზრდისა და დამოუკიდებელი პიროვნების განსავითარებლად. ამდაგვარი ავტონომიური მოქალაქეები, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ძლიერი დემოკრატიისთვის. მხოლოდ ინფორმირებულ და დასაქმებულ ხალხს შეუძლია დამოუკიდებელი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღება დემოკრატიულ თანაარსებობაში ერთად ცხოვრებისთვის.

ჟადონი, თქვენი 15 წლის ვაჟი, სავალდებულო სწავლების ბოლო წელს იწყებს. მშობლების სანფორმაციო შეხვედრაზე მასწავლებელი ხაზს უსვამს მოსწავლეთა მოსალოდნელი პროფესიული არჩევანის მნიშვნელობას, მათ შორის მშობლების მხრიდან შვილების მხარდაჭერას. ის ყველას მოუწოდებს განიხილონ ეს თემა სახლში და ოჯახის შიგნითაც. თქვენ შეამჩნიეთ, რომ ჟადონი არ ლაპარაკობს თავისი პროფესიული არჩევანის შესახებ. ასე რომ თქვენ გადაწყვიტეთ ჩართოთ ამ თემაზე საუბარში. როგორ, იქნება ასეთი საუბარი წარმატებული?

შეარჩიეთ შემდეგი ვარიანტებიდან და განაგრძეთ კითხვა მითითებულ გვერდზე:

იხ. მე-3 გვერდი!

იხ. მე-4 გვერდი!

იხ. მე-5 გვერდი!

“რამდენიმე მარტივი წესი:

იყავით ჩართული, მაგრამ არ აკონტროლოთ

ურჩიეთ, მაგრამ ნუ გადწყვიტავთ

მხარი დაუჭირეთ, მაგრამ ნუ ბრძანებლობთ.”[1]

დამატებითი ინფორმაცია / მასალები / ვიდეოები შეგიძლიათ იხილოთ აქ:

QualifaX: Database for further and higher education in Ireland (Department of Education and Skills, Ireland)

http://www.qualifax.ie/index.php?option=com_content&view=article&id=179&Itemid=207

ყველა მშობელს შვილებისთვის მხოლოდ საუკეთესო სურს. მათი შთამომავლობის მოსალოდნელ პროფესიასთან დაკავშირებით, მშობლები პროფესიულ არჩევანს უკავშირებენ მაღალ სტატუსს, უსაფრთხო სამუშაო გარემოს და კარგ შემოსავალს. და ბევრს მიაჩნია, რომ ეს მხოლოდ უნივერსიტეტის დიპლომით მიიღწევა.

ამასთან, მუქარა და მფარველობითი ქცევა, სავარაუდოდ არ გამოგადგებათ, რომ დაარწმუნოთ ჟადონი სკოლის მაღალ ქულებზე დამთავრების აუცილებლობაში. ასევე, მნიშვნელოვანია დისკუსიებისთვის კარგი კლიმატის შექმნა და შენარჩუნება. აღნიშნული თქვენს შვილს საშუალებას მისცემს თავისი დემოკრატიული კომპეტენცია პრაქტიკაში გამოიყენოს. ამ დროს თქვენ თავი უნდა შეიკავოთ ეგრეთ წოდებული დესტრუქციული შეტყობინებებისგან. რჩევებისა და რეკომენდაციებისთვის გთხოვთ,განაგრძოთ კითხვა მე –6 გვერდზე.

შეეცადეთ გაიგოთ ჟადონის ინტერესებისა და პროფესიული მისწრაფებების შესახებ გულახდილი საუბრის დროს. შემდეგ, შეგიძლიათ ერთობლივად მოძებნოთ სამუშაო ადგილები, რომლებიც ამ მოლოდინებს აკმაყოფილებენ.

მე –7 გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი რჩევა და რეკომენდაცია იმ მშობლებისთვის, რომელთაც სურთ ჟადონს მხარდაჭერა გამოუცხადონ შესაფერისი პროფესიის მოძიებაში.

მოზარდის განვითარების უმნიშვნელოვანეს გამოწვევებს შორის არის დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესი ოჯახისგან და მშობლებისგან. ამრიგად, პროფესიის არჩევა გადამწყვეტი, თუ არა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია ახალგაზრდა ადამიანის ცხოვრებაში დამოუკიდებლად არსებობისა და თვითგამორკვევის პროცესში.

მას შემდეგ, რაც თქვენ, როგორც ზრდასრულმა პირმა და მშობელმა, კარგად იცით ამ გადაწყვეტილების დიდმნიშვნელობის შესახებ, სავსებით გასაგებია, რომ გსურთ თქვენს შვილს მაქსიმალურად ხელიშეუწყოთ და ურჩიოთ. ამის მიუხედავად, გაითვალისწინეთ საბოლოოდ ჟადონია ის ვისაც მოუწევს თავისი გადაწყვეტილების შედეგებით ცხოვრება. ის მედგრად შეუდგება თავის კარიერულ წინსვლას , შესაბამისად, მეტს იმუშავებს და ინტენსიურად ისწავლის, თუ მან თავად გააკეთა არჩევანი თავისი პროფესიის შესახებ.

ამიტომ, სასურველია, გაუძლოთ თქვენი შვილის უმოქმედობას, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება რთული იყოს თქვენთვის, ვიდრე შეავსოთ სიცარიელე საკუთარი აქტივიზმით. თუ ჟადონს ზედმეტად გაამხნევებთ, ამან შეიძლება გამოიწვიოს მისი მხრიდან ძლიერი წინააღმდეგობაც კი. სავსებით შესაძლებელია, რომ ამიერიდან ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღება საერთოდ აღარ მოგაქციოთ.

თუ როგორ დაეხმაროთ მშვიდად თქვენს შვილს, რჩევებისა და რეკომენდაციების შესახებ, განაგრძეთ კითხვა მე-7 გვერდზე.

როგორც ჩანს თქვენ იპოვეთ სწორი მიდგომა, რომ თქვენი შვილი ჩართოთ მის მომავალზე საუბარში. გილოცავთ!

ჟადონისთვის ნათელი გახადე, რომ პროფესიის არჩევა მხოლოდ მისი საქმეა, ისევე, როგორც მან თავად უნდა იწვნიოს მისი შედეგები. მიუხედავად ამისა, როგორც მშობლები და შესაფერისი რეკომენდატორი პირები, რომელთაც აქვთ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და ცოდნა, ყოველთვის მზადყოფნაში იქნებით დახმარება გაუწიოთ ნებისმიერ კითხვასა და პრობლემასთან დაკავშირებით.

შემდგომი რჩევებისა და კონკრეტული მოქმედებების შესახებ, განაგრძეთ კითხვა მე –7 გვერდზე.

დესტრუქციული შეტყობინებები[2]

შეტყობინებებს და განცხადებებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვებში ნეგატიური შეგრძნებების და რეაქციების პროვოცირება, დესტრუქციული შეტყობინებები ეწოდება. მშობლები, რომლებიც დესტრუქციულ მესიჯებს მიმართავენ, პატივს არ სცემენ თავიანთი შვილების გრძნობებს და აზრებს. პატივისცემა და შემწყნარებლობა არის ძირითადი დემოკრატიული პრინციპები და თქვენ ვერ ახერხებთ ამის გადაცემას შვილებისთვის დესტრუქციული გზავნილებით. შედეგად, თქვენი შვილები რეაგირებენ, მოკლე თავდაცვითი პასუხებით, გაუგებრობისა და დამცირების შეგრძნებით. ამ ტიპის შეტყობინებები იწვევს კონფლიქტებს და, ზოგჯერ, კომუნიკაციის პროცესის საერთოდ შეწყვეტას.

დესტრუქციულმა შეტყობინებებმა შეიძლება შეაფერხოს ბავშვების ფსიქოსოციალური განვითარება. ბავშვებს არ შეუძლიათ განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები სრულად და ძლიერი პიროვნული თვისებები, თუ მათ მხოლოდ უარყოფითი, დამამცირებელი შეტყობინებები ესმით. თუმცა, ძლიერი პიროვნული თვისებები, პატივისცემა და შემწყნარებლობა სხვების მიმართ ძირითადი მოთხოვნებია ძლიერი დემოკრატიული საზოგადოებებისთვის.

ტრენინგი

თქვენი კომუნიკაციური უნარი უფრო დემოკრატიული რომ გახადოთ, პირველ რიგში უნდა გააცნობიეროთ თქვენი კომუნიკაციის ამჟამინდელი ჩვევები.

ქვემოთ მოცემულია სხვადასხვა დესტრუქციული შეტყობინება. ერთი კვირის განმავლობაში, ყოველდღიურად დააკვირდით თქვენს კომუნიკაციურ ქცევას. ყოველ ჯერზე, ბავშვთან ურთიერთობისას, როდესაც იყენებთ ერთ-ერთ მითითებულ წინადადებას, ხაზი გაუსვით მას.

დესტრუქციული შეტყობინებები

მბრძანებლობა, მოთხოვნა

- შენ უნდა ...
- მოდი, მოემზადე ...
- თქვი გამარჯობა ...
- მოიქეცი როგორც...

საყვედური, გაფრთხილება, მუქარა

- შენ ყოველთვის აკეთებ...
- შენ არასოდეს აკეთებ...
- თუ არ... მაშინ...
- საბოლოოდ როდის...
- რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ...

მორალიზება

- ჩვენ ვიამაყებდით შენით, მაგრამ ახლა იმედგაცრუებული ვართ, რადგან შენ არ ...
- დედა ძალიან მოწყენილია, რადგან შენ ჭირვეულობდი.
- ათასობით მშიერი ბავშვია, რომელთაც ამის ჭამა სურთ.
- ერთხელ მატყუარა, ყოველთვის მატყუარა...

რჩევა და შედარება

- შენს ადგილას რომ ვიყო, მე ...
- სხვა ბავშვების მშობლები...
- შენი და ყოველთვის ასუფთავებს ოთახს.
- ყველა ეთანხმება ამას. მაგრამ შენ...

როგორ დავეხმარო წარმატებით ჩემს შვილს პროფესიის არჩევაში?

- **ადრეული ფრინველი...** დროის ზეწოლის თავიდან ასაცილებლად, შეეცადეთ, ადრეულ ეტაპზე მიმართოთ პროფესიის არჩევის საკითხს. ამრიგად, თუ თქვენ გადაწყვეტილი არ გაქვთ, საკმარისი დროა სტაჟირებისთვის სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებში.
- **კარიერული მისწრაფება:** ესაუბრეთ შვილს მისი სურვილების, იდეებისა და მოლოდინების შესახებ.
- **ძალიან მნიშვნელოვანი:** გულახდილობა. მშვიდად მოუსმინეთ თქვენს შვილს. მიუხედავად იმისა, რომ მისი მრავალი იდეა შეიძლება ჩანდეს არარეალისტური ან მიუწვდომელი თქვენთვის, არ შეეცადოთ შთაბეჭდილება მოახდინოთ საკუთარი შეხედულებებით მასზე.
- **წარმოდგენა არ მაქვს...** თუ ჟადონს საერთოდ არ აქვს იდეა, თუ რომელი პროფესიული მიმართულება უნდა რომ აირჩიოს, მიზანშეწონილია დაფიქრდეს შემდეგ კითხვებზე:
  1. რისი გაკეთება გსიამოვნებთ ყველაზე მეტად? რითი ხართ გატაცებული? რა არის შენი ჰობი?
  2. რომელი მიმართულებით შეგიძლიათ გამოიყენოთ ეს უნარები, რომელ პროფესიულ სფეროებში არის თქვენი განსაკუთრებული სიძლიერე და შესაძლებლობები საჭირო? რომელი პროფესიული ჯგუფები ეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც შენ გაინტერესებს?
- **ამისთვის და წინააღმდეგ:** თუ თქვენი შვილის კარიერული მისწრაფება გარკვეულწილად მკაფიოა, შეეცადეთ ერთად შექმნათ სია მისი პოტენციური უპირატესობების და უარყოფითი მხარეების შესახებ. ამან შეიძლება შედარებით სწრაფად აჩვენოს, მოსალოდნელი პროფესია შესაფერისია თუ არა.
- **გახდი აქტიური:** დაეხმარე ჟადონს კონკრეტული პროფესიისა და მასთან დაკავშირებული სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციის მოძიებაში. მაგრამ მან თავად მოაგვაროს ისეთი საკითხები როგორიცაა, მაგალითად, სატელეფონო გამოკითხვის მოწყობა, კარიერის დაგეგმვის კონსულტანტებთან შეხვედრების დანიშვნა, სააპლიკაციო განაცხადის შევსება...
- **პრაქტიკა, პრაქტიკა, პრაქტიკა:** ბევრი ახალგაზრდისთვის კონკრეტული გამოცდილება ბევრად უფრო სასარგებლოა მათი კარიერის ძიებაში, ვიდრე სამუშაოს წერილობითი აღწერილობები. ამრიგად, წაახალისეთ ჟადონი, რომ ნახოს შესაბამისი სამუშაოები ადგილზე ვიზიტებით, ან მოიპოვოს პირველადი ინფორმაცია, ნაცნობებისგან ან ნათესავებისგან მათი პროფესიის შესახებ.
- **დაბრკოლებები:** შეიძლება აღმოჩნდეს პრობლემები, თუ სხვა პროფესია უნდა იქნეს მოფიქრებული, ან როდესაც სტაჟირება ან პრაქტიკული სწავლება შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში, თქვენ ასრულებთ მნიშვნელოვან ფუნქციას თქვენი შვილის წასახალისებლად, რომ განაგრძოს ძებნა და არ დანებდეს.
- **გააკეთე შენ თვითონ:** რაოდენ რთულიც არ უნდა იყოს თქვენთვის ამის გათავისება: საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ თქვენ შვილს უნდა ეკუთვნოდეს. გადაწყვეტილება ყველაზე ადვილია შესასრულებლად, როდესაც მის უკან მხოლოდ ერთი ადამიანი დგას. ანალოგიურად, თქვენი შვილისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ მას მარტო მოუწევს თავისი გადაწყვეტილების შედეგებთან გამკლავება. ეს ნიშნავს, რომ იგი იღებს პასუხისმგებლობას თავისი მოქმედებისთვის. გადაწყვეტილებების მიღებისა და მისი შედეგებით ცხოვრების პროცესი უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილებაა. უფრო მეტიც, ინდივიდის ვალდებულება მიიღოს კვალიფიციური გადაწყვეტილებები და მათზე პასუხისმგებლობა აიღოს, თანაბრად მნიშვნელოვანია ჩვენი დემოკრატიული ცხოვრებისა და თანაცხოვრებისთვის. ამრიგად, ამ გამოცდილების მიღება ადრეულ ეტაპზე ძნელია.

“ბავშვებთან საუბარი პროფესიული ორიენტაციის შესახებ” გამოყენებული ლიტერატურა:

[1] Qualifax, the national learners` database. *The Parent’s Role in Career Selection: How important is the role of the parent in the career guidance process?* Database for further and higher education in Ireland (Department of Education and Skills, Ireland) retrieved 19.03.2019. http://www.qualifax.ie/index.php?option=com_content&view=article&id=179&Itemid=207

[2] Heueck-Mauss, Doris. 2016. *So rede ich richtig mit meinem Kind: Wie Worte wirken: Konflikte fair lösen: Stressfreier erziehen*. Hannover: Humboldt, 74 ff

Heueck-Mauss, Doris. 2016. *So rede ich richtig mit meinem Kind: Wie Worte wirken: Konflikte fair lösen: Stressfreier erziehen.* Hannover: Humboldt.

Kurz, Susanne. 2014. «Unterstützen- nicht besser wissen!» *Das Schweizer Elternmagazin Fritz und Fränzi*, Mai, 76-77.

Qualifax, the national learners` database. *The Parent’s Role in Career Selection: How important is the role of the parent in the career guidance process?* Database for further and higher education in Ireland (Department of Education and Skills, Ireland) retrieved 19.03.2019.

http://www.qualifax.ie/index.php?option=com_content&view=article&id=179&Itemid=207